საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1283 2025 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

„2025 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 ივლისის №1073 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „2025 წლის რთვლის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 4 ივლისის №1073 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. შპს მოსავლის მართვის კომპანიამ (ს/ნ: 405406109) უზრუნველყოს 2025 წლის რთვლის პერიოდში კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნის – 1,50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით ნებადართული ვაზის ჯიშისგან მოწეული სხვა ყურძნის – 1,20 ლარად, არაკონდიციური (შაქრიანობა არ აღემატება 18%-ს) და დაზიანებული (დაავადებული) ყურძნის – 1,00 ლარად მიღება და გადამუშავებისათვის

აუცილებელი ღონისძიებების გატარება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო რესურსების მოძიება საფინანსო ინსტიტუტებიდან.";

ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 – მე-14 პუნქტები:

„8. საქართველოში მოწეული ყურძნის ჩაბარება/მიღება რთვლის მიმდინარეობისას განხორციელდეს სააგენტოს მევენახეობის კადასტრის ბაზის შესაბამისად.

9. ეთხოვოთ მევენახეობის ზონებში არსებულ მუნიციპალიტეტებს, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ, სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად, ყურძნის ჩამბარებლებზე ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობების გაცემა.

10. რთვლის მიმდინარეობისას ყურძნის ჩაბარება/მიღება შპს მოსავლის მართვის კომპანიაში (ს/ნ: 405406109), საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ ყურძნის ჩამბარებელზე გაცემული ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობის შესაბამისად.

11. ღვინის კომპანიების მიერ ყველა კატეგორიის ღვინის წარმოება დასაშვებია მხოლოდ რთვლის საკოორდინაციო შტაბის მიერ აღრიცხული ყურძნისაგან.

12. დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების დასამზადებლად განკუთვნილი ყურძნის ჯიშის მოსავლიანობა 1 ჰა ვენახიდან განისაზღვროს ამ ღვინისათვის დადგენილი წარმოების სპეციფიკაციის მაჩვენებლის შესაბამისად.

13. ღვინის კომპანია ვალდებულია, მოახდინოს ყურძნის გადამუშავების შედეგად დარჩენილი ჭაჭის გამოხდა ან მისი სხვა სახით გამოყენება/ განადგურება და არ დაუშვან ჭაჭის ფიზიკური პირებისთვის გადაცემა.

14. ეთხოვოთ თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს 2025 წლის რთვლის პერიოდში, ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ადგილების გამოყოფა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**